ტენდერის ტიპი	ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
შემსყიდველი	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
დაფინანსების წყარო	2016 წლის საკუთარი შემოსავლები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	6’130 ლარი
სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ის გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი: 22900000	
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 22900000; 22990000; 22993300.	
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	123 ლარი

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

ქაღალდის (CPV 22900000; 22990000; 22993300) სახელმწიფო შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

ქ.თბილისი

2016 წ.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) მეშვეობით.

1.2 სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.3 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაცის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.4 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.5 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.6 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით ან/და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის ან ისეთი სკვალიფიკაციო დოკუმენტების/სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც არ პასუხობს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ან/და სატენდერო დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, შესაძლებელია გამოიწვიოს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

1.8 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „მ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე, არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.

1.9 სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და შესყიდვის პროცედურების შესახებ განმარტებების მისაღებად, მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - ნინო ყანჩაველს ტელ: (+995 32) 2-35-77-77 (1604) ელ. ფოსტა: NKanchaveli@metro.ge. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 **შესყიდვის ობიექტი**

2.1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით **ქაღალდის (CPV 22900000; 22990000; 22993300)** სახელმწიფო შესყიდვა.

2.1.2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის შესაბამისად.

2.2 **საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი**

2.2.1 მიწოდების ვადა:

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვრება, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღე.

2.2.2 მიწოდების ადგილი:

შესასყიდი საქონლის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, მექანიზაციის ჩიხი №1.

2.3 **სატენდერო წინადადების ღირებულება**

2.3.1 სატენდერო წინადადების ღირებულება და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი (შესავსები) ფასების ცხრილი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის შესაბამისად.

2.3.2 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ღირებულება გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესასყიდი საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის ჩათვლით.

2.3.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ღირებულების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

2.4 **ანგარიშსწორების პირობები**

2.4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ყოველ ჯერზე მიწოდებული საქონლის ღირებულების 70%-ისა, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ.

2.4.2 ანგარიშსწორება მოხდება 2016 წლის საკუთარი შემოსავლებით.

2.4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) წარდგენის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს ყოველ ჯერზე მიწოდებული საქონლის ღირებულების 70%-ისა.

2.4.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

2.5 **საგარანტიო პირობები**

2.5.1 დანართი №1-ში მითითებული მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს სრულიად ახალი (არ უნდა იყოს ექსპლუატაციაში ნამყოფი) და ხარისხიანი.

2.5.2 **შენახვის საგარანტიო ვადა** უნდა შეადგენდეს საქონლის მიწოდების შესახებ შედგენილი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების თარიღიდან, არანაკლებ 6 (ექვსი) თვეს.

2.5.3 საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია წუნდებული საქონლის შეცვლა განახორციელოს შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

2.6 **ალტერნატიული წინადადება**

პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2.7 **პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია**

2.7.1 სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი №1 (**ქაღალდის** ტექნიკურ-ხარისხობრივი მახასიათებლები და ფასების ცხრილი), აღნიშნულ დანართში პრეტენდენტის მიერ მითითებულ უნდა იქნას პრეტენდენტის დასახელება, სატენდერო წინადადების ფასი (როგორც ციფრობრივად, ისე სიტყვიერად), შემოთავაზებული საქონლის საერთო და ერთეულის ღირებულებები, საქონლის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი ფირმა და მოდელი (არსებობის შემთხვევაში), საქონლის მიწოდების და საგარანტიო ვადები, ამავე დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.7.2 სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი №2 (პრეტენდენტის რეკვიზიტები) ამავე დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.8 **დამატებითი ინფორმაცია**

2.8.1 იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობით.

2.8.2 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან ანგარიშფაქტურით (ინვოისით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11- მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

2.8.3 პრეტენდენტმა, შემსყიდველ ორგანიზაციაში, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნით, უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის ნიმუში სატენდერო დოკუმენტაციის **დანართი №1-ის მე-3 პოზიციაზე,** მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

2.8.4 პრეტენდენტს შეუძლია დაესწროს მის მიერ წარმოდგენილი ნიმუშის შერჩევის პროცედურას (სურვილის შემთხვევაში, განხილვის პროცედურის დრო და ადგილი პრეტენდენტს ეცნობება დამატებით).

2.8.5 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ნიმუშის ხარისხი არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნას მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შეუსაბამობა გამოწვეულია პრეტენდენტის არაკეთილსინდისერი ქმედებით. პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერი ქმედებით გამოწვეული შეუსაბამობა აღნიშნული პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დიკვალიფიკაციის უპირობო საფუძველია.

2.8.6 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუში დაზუსტებას არ ექვემდებარება.

2.8.7 პრეტენდენტს შესყიდვის ობიექტის ნიმუში დაუბრუნდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ერთი მხრივ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი - გენერალური დირექტორის --- სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, _____ (იურიდიული მის: _____) წარმოდგენილი - _____ სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), შემდგომში ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შემსყიდველის მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (_____ სახელმწიფო შესყიდვა) საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.

1.2. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (SPA_____).

1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული და მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული, ტენდერისათვის წარმოდგენილი ყველა დოკუმენტით, მათ შორის:

1.3.1 **ქაღალდის** ტექნიკურ-ხარისხობრივი მახასიათებლები და ფასების ცხრილი (დანართი №1);

1.3.2 პრეტენდენტის რეკვიზიტები (დანართი №2).

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ---------- (შემდგომში „საქონელი“) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: ---------.

2.3 მისაწოდებელი საქონლის დასახელება, ზომის ერთეული, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად.

2.4 შესყიდვის ობიექტი შეფუთული უნდა იყოს ქარხნული წესით ისე, რომ დაცული იყოს გარემო ზემოქმედებისაგან, გარდა იმ პროდუქციისა, რომლის შეფუთვაც შეუძლებელია ქარხნული წესით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დანართი №1-ის შესაბამისად და შეადგენს --------- (----------) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და გადასახდელებს, დღგ-ის ჩათვლით.

4. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუგვიანეს ---------- კალენდარული დღის ვადაში.

4.2 შესასყიდი საქონლის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, მექანიზაციის ჩიხი №1.

4.3 საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: _____ (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“).

5.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;

5.3.2 დაადგინოს მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

6. საქონლის საგარანტიო პირობები და ვადები

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება სრულიად ახალი (არ იქნება ექსპლუატაციაში ნამყოფი), ხარისხიანი და შეესაბამება საქონლის ტექნიკურ პირობებს (დანართი №1).

6.2 მიმწოდებელი იძლევა **შენახვის საგარანტიო ვადას** საქონლის მიწოდების შესახებ შედგენილი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების თარიღიდან ----- თვეს.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4 მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6.5 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული საქონლის მიღებაზე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7.3 მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

7.4 საქონლის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე.

7.5 საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ყოველ ჯერზე მიწოდებული საქონლის ღირებულების 70%-ისა.

8.2. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) წარდგენის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს ყოველ ჯერზე მიწოდებული საქონლის ღირებულების 70%-ისა.

8.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 12.3 და 12.4 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

8.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გადასახდელის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.2.1 განახორციელოს ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად;

9.3 შემსყიდველი ვალდებულია:

9.3.1 მიიღოს მოთხოვნილი საქონელი;

9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.4.2 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად;

9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

9.5.2 საქონლის მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად;

9.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედებები აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;

9.5.4 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

9.5.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

11.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

11.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

11.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:

11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

11.2.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.2.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის პერიოდში არ განახორციელებს წუნდებული საქონლის შეცვლას, ხელშეკრულების 6.3 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

12.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები (დაუძლეველი ძალა), როგორიცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და აშ.

13.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4 ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

14. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ---------- წლის ---------- ჩათვლით, (გარდა ამ ხელშეკრულების მე-6 და 12.4 პუნქტებისა).

16.2 ხელშეკრულების მე-6 და 12.4 პუნქტები ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის სრული პერიოდის განმავლობაში.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი № 2
ტელ: (995 32) 2 93 50 50.
სს საქართველოს ბანკი
ა/ა GE32BG0000000127527201; ბანკის კოდი: BAGAGE22

„მიმწოდებელი“
_____
საიდენტიფიკაციო ნომერი: _ _____
იურიდ. მის: _____
ტელ: (995 32) _____.
_____
ა/ა _____; ბანკის კოდი: _____

დანართი №1

ქაღალდის ტექნიკურ-ხარისხობრივი მახასიათებლები და ფასების ცხრილი

„___“ _____ 2016 წ.

(შევსების თარიღი)

_____ აღნიშნულ საქონელს გთავაზობთ _____ (_____) ლარად (დღგ-ის ჩათვლით)*.

(პრეტენდენტის დასახელება) (თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

№	კლასიფიკატორის კოდი CPV	საქონლის დასახელება	საქონლის ტექნიკური პარამეტრები	ზომის ერთეული	რაოდენობა	საქონლის წარმოშობის ქვეყანა	შემოთავაზებული საქონლის მწარმოებელი ფირმა და მოდელი (არსებობის შემთხვევაში)	ერთეულის ღირებულება (დღგ-ის ჩათვლით)*	საერთო ღირებულება (დღგ-ის ჩათვლით)*	საქონლის მიწოდების ვადა	შენახვის საგარანტიო ვადა
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1	22990000	ქაღალდი საგაზეთო	საგაზეთო ქაღალდი (45 გრ, სიგანე 60 სმ), სამი რულონი - თითოეული რულონი უნდა იყოს არანაკლებ 320 კგ, დანარჩენი რაოდენობის შემოტანა შესაძლებელია განსხვავებული ფორმით, რომ შეადგინოს მთლიანი მოთხოვნილი წონა.	კგ	1’000					სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, არაუგვიანეს ____ კალენდარული დღე.	საქონლის მიწოდების შესახებ შედგენილი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების თარიღიდან ___ თვე.
2	22990000	ქაღალდი ოფსეტური	ქაღალდი ოფსეტური 120 გრამიანი (ერთი ცალის ზომა 60x84 სმ, ერთ შეკვრაში არის 250 ცალი)	შეკვრა	1						
3	22993300	მუყაო 0.5 მმ	სისქით 0.5 მმ, ზომით 1000*350 ან ამ ზომის ჯერადი ზრდადობით	კგ	303						

შენიშვნა:

(*) დღგ-ის გადამხდელის შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ის გათვალისწინებით.

- პრეტენდენტმა მე-8 გრაფაში უნდა მიუთითოს შემოთავაზებული საქონლის მოდელი (არსებობის შემთხვევაში), მოდელის არარსებობის შემთხვევაში პრეტენდენტმა ამავე გრაფაში უნდა გააკეთოს შესაბამისი მითითება, რომ შემოთავაზებულ საქონელს მოდელი არ გააჩნია.
- მე-11 გრაფაში პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს საქონლის მიწოდების კონკრეტული ვადა ტექნიკური დოკუმენტაციის 2.2 პუნქტის 2.2.1 ქვეპუნქტის შესაბამისად.
- მე-12 გრაფაში პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს კონკრეტული საგარანტიო ვადა ტექნიკური დოკუმენტაციის 2.5 პუნქტის 2.5.2 ქვეპუნქტის შესაბამისად.

---------- ----------

(პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი გვარი) (ხელმოწერა)

დანართი № 2

პრეტენდენტის რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

საიდენტიფიკაციო/ პირადი ნომერი:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

--- ---

(პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი გვარი) ხელმოწერა